



6793/3-12/22 2 26072022

6793/3-12/22

26-07-2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ოთარ შამუგიას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

საქართველოს რეგიონებში მდებარე სიმინდის ნათესებს დაახლოებით ორი კვირაა მასიურად გაუჩნდა მატლი, რაც მოსავლის განადგურებას გამოიწვევს. საჭიროა უმოკლეს ვადებში შეწამვლითი სამუშაოების ჩატარება, რათა არ მოხდეს მოსავლის სრული განადგურება.

საგულისხმოა, რომ სამინისტროს გააჩნია შესაბამისი ტექნიკა რომელსაც იყენებდა ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლითი სამუშაოების დროს. შესაბამისად, შესაძლებელია არსებული ტექნიკის გამოყენებით მოხდეს შეწამვლითი სამუშაოების ჩატარება. თუმცა ფაქტია დღემდე არ ხდება ხსენებული ტექნიკის გამოყენება, გვიანდება შეწამვლა და რაც იწვევს მოსავლის განადგურებას.

გთხოვთ, გვაცნობოთ რა რეაგირება მოახდინა სამინისტრომ დღემდე და რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. ასევე გვაცნობეთ როდის იგეგმება შეწამვლითი სამუშაოების ჩატარება, რა გრაფიკით და რა სახის კორდინაცია გაქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გიორგი ბოტკოველი